

დანართი 5

დამტკიცებულია ა(ა)იპ "მოსწავლე ახალგაზრდობის

ეროვნული სასახლის დირექტორის

2016 წლის 1 ივნისი N 71 ბრძანებით

ა(ა)იპ "მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე"

საქალაქო კონკურსს „ჩვენ სიცილი გვინდა“

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

იდეის ავტორი - ციალა საღარაძე

(შემეცნებით თამაშობათა განყოფილების ხელმძღვანელი/პედაგოგი)

მეთოდისტი - მარინე გელაშვილი

თბილისი 2016 წელი

ა(ა)იპ მოსწავლე- ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე ატარებს მოსწავლეთა საქალაქო კონკურსს „ჩვენ სიცილი გვინდა“.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ თბილისის სკოლების ნებისმიერი ასაკის მოსწავლეებს.

კონკურსის თემატიკა:

- მოსწავლეთა საქალაქო კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც საკუთარი, ასევე ცნობილ ავტორთა ინსცენირებები, სკეტჩები, მინიატურები, სახუმარო სცენები, ლექსები, იუმორისტული მოთხრობები, პაროდიები, პანტომიმა და შარჟები, რომელთა ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 8-10 წუთს.
- საკონკურსოდ წარმოდგენილი ნომრები სასურველია იყოს კოსტიუმირებული და მუსიკალურად გაფორმებული.

კონკურსის ჩატარების ეტაპები:

- კონკურსი ჩატარდება ორ ტურად: სასკოლო და საქალაქო.
- სასკოლო ტური ჩატარდება აპრილის თვეში სკოლების ბაზაზე. საქალაქო კი თბილისის "სასახლეში" მაისის პირველ ნახევარში.
- გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სასახლის სიგელებით.